ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3

ქ. თბილისი 22 იანვარი 2016 წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი" წარმოდგენილი მცხეთის №26 ოფისის ზედამხედველის ლაშა ლაბაურის სახით, რომელიც მოქმედებს 2016 წლის 4 იანვარს შპს "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე ანდრია ზოდელავას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შემდგომში *გამყიდველი*, სახით, ერთის მხრივ და ა(ა)იპ თვითმმართველ თემის "მცხეთის მუნიციპალიტეტის" საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი კუკულაძის სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 1560 (ათასხუთასსამოცი) ლარის ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების შესყიდვა (CPV64212000)

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელომოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
იურიდიული მისამართი	**იურიდიული მისამართი**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7	ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. 20
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი	ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა"
ა/ა GE81LB0113116112371050	
კოდი: LBERTGE22	ა/ა GE24LB0330100200165022; კოდი:TRESGE22
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი:436036193
საკონტაქტო ტელ 595190909	საკონტაქტო ტელ: 595731890
ოფისის ზედამხედველი	დირექტორი
----------	----------
(ლ. ლაბაური)	(ბ. კუკულაძე)